2452

ტფილისის ოლქის სასამართლოს 27 ივლისის 1920 წ. დადგენილებით შეტანილ იქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იმ საზოგადოებათა და კავშირთა სარეგისტრაციო ნუსხაში, რომელთა მიზანს არ შეადგენს გამორჩენა.

28 ივლისი 1920 წ. № 110,047.

სასამართლოს წევრი დ. ხოშტარია.

მდ. თან. აბულაძე.

წესდება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.

I

საზოგადოების საგანი

§ 1. საზოგადოებას დასახული აქვს მიზნათ ხელი შეუწყოს ცოდნა-განათლების გავრცელებას როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის გარეშე მცხოვრებ ქართველთა შორის.

§ 2. საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით და აქვს თავისი ბეჭედი.

§ 3. თავის მიზნის მისაღწევად საზოგადოება:

ა) გამოსცემს სასწავლო, სახელმძღვანელო, სამეცნიერო და სახალხო წიგნებს, კაზმული სიტყვიერების ნაწარმოებთ, ჟურნალებს და გაზეთებს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიმაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И.

ბ) მართავს ლექციებს და სახალხო კითხვებს.

გ) ხსნის და ინახავს თავის საშუალებით სხვა და სხვა საერთო განათლების თუ პროფესიონალ სასწავლებლებს და ხელს უწყობს ასეთების გამართვას, განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის გარეშე.

დ) ხსნის სახალხო ბიბლიოთეკებს და სამკითხველოებს, განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის გარეშე.

ე) აარსებს წიგნის მაღაზიებს, სტამბებს, ლითოგრაფიებს, ცინკოგრაფიებს და ყოველნაირ სახელოსნოებს და საწყობებს, რომელთაც კავშირი აქვთ წიგნების გამომცემლობასთან და ვაჭრობასთან.

ვ) აგროვებს მუზეუმისთვის და წიგნთ-საცავისათვის ხელთნაწერებს, ნაბეჭდს წიგნებს და ნივთებს.

ზ) ნიშნავს პრემიებს სხვა და სხვა სამეცნიერო და სალიტერატურო ნაწარმოებთათვის.

II

საზოგადოების ღონის-ძიებანი.

§ 4. საზოგადოების ღონის-ძიებას შეადგენს:

ა) საზოგადოების წევრთაგან შემოტანილი ფული;

ბ) შემოწირულება კერძო პირთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან საზოგადოების სრულს

ჯანკარგულებაში ან განსაკუთრებულის, საზოგადოების მიზნის შესაფერი დანიშნულებით.

ბ) საზოგადოების წარმოების სხვა და სხვა დარგის შემოსავალი.

დ) შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულის სეირნობისა, წარმოდგენისა, კონცერტისა და სხვა გასართობებისა და სანახავებისა.

ე) შემოსავალი ლოტერიისა, რომელიც შეიძლება გაიმართოს განსაკუთრებულს შემთხვევაში სათანადო ნებართვით.

§ 5. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს საკუთრებად უძრავი ქონება, დაიგირავოს, დაიგირავოს და გაჰყიდოს იგი თავის შეხედულების მიხედვით.

§ 6. საზოგადოებას თავის თანხა შენახული აქვს თავის კასაში ან რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში. ამ ფულების შენახვის, დახარჯვის და შემოწმების წესს განსაზღვრავს საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება.

III.

საზოგადოების შემადგენლობა.

§ 7. საზოგადოებას შეადგენენ:

ა) ნამდვილი წევრები და

ბ) საპატიო წევრები.

§ 8. ნამდვილ წევრებად ითვლებიან თანახმად როის წევრის წინადადებისა საზოგადოების ერთ-

ერთის განყოფილების საზოგადო კრების მიერ დაფარულის კენჭის ყრით არჩეული პირნი, რომელნიც შემოიტანენ საზოგადოების სასარგებლოდ ერთ-დროულად არა ნაკლებ 200 მანეთისა, ან ყოველ-წლიურად არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

§ 9. საპატიო წევრად აირჩევა ის, ვისაც ხელი შეუწყვია ცოდნა-განათლების გავრცელების საქმისათვის შესამჩნევის პირადის მოღვაწეობით ან დიდი ნივთიერის შემოწირულებით, აგრეთვე გამგეობის წევრი, რომელიც ყოფილა არჩეული სამჯერ ზედი-ზედ.

§ 10. ნამდვილ წევრად არჩეულს ენიჭება ყოველივე უფლება მხოლოდ ერთდროულის თუ წლიურის საწევრო ფულის გადახდის შემდეგ. წევრის უფლება ეკარგება მას, თუ შემდეგში ერთის წლის განმავლობაში არ ექნება შემოტანილი წლიური საწევრო და დაუბრუნდება ეს უფლება, როდესაც სრულიად გადაიხდის მაზედ დარჩენილს საწევრო ფულს.

IV

საზოგადოების მმართველობა.

§ 11. საზოგადოების საერთო მმართველობა ეკუთნის:

1) საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრებას და

2) საზოგადოების მთავარ-გამგეობას, როგორც რწმუნებულთა საერთო კრების აღმასრულებელ ორგანოს.

V

რწმუნებულთა საერთო კრება.

§ 12. საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ კრებას იწვევს მთავარ-გამგეობა წელიწადში ერთხელ, საგანგებო კრებას კი საზოგადოების მთავარ-გამგეობის თავმჯდომარე ყოველ დროს, განსახილველად განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა, თანახმად გამგეობის დადგენილებისა ან არა ნაკლებ საზოგადოების 15 რწმუნებულის მოთხოვნისა.

შენიშვნა: საზოგადოების რწმუნებულთა განცხადება უნდა წარედგინოს მთავარ-გამგეობას. ამ განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული რწმუნებულთა კრების განსახილველად შესატანი საკითხები.

§ 13. საერთო კრებას შეადგენს 60 რწმუნებული, არჩეულნი საზოგადოების განყოფილებათა წევრების საერთო კრებათა მიერ სამის წლის ვადით მთავარ-გამგეობის მიერ შემუშავებულის და გამოცხადებულის წესით, ხოლო არჩევნები ხდება პროპორციონალად განყოფილების წევრთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არც ერთი განყოფილება არ უნდა დარჩეს უწარმომადგენლოდ.

შენიშვნა: ა) განყოფილებას უფლება აქვს შეავსოს დაკლებულ რწმუნებულთა რიცხვი ვადის გასვლამდე.

ბ) იმ ადგილებში, სადაც განყოფილებები არ არსებობს, რწმუნებულებს ირჩევს ადგილობრივი წევრთა საზოგადო კრება, საგანგებოთ ამ მაზნისთვის მოწვეული.

§ 14. რწმუნებულთა საერთო კრებას ხსნის მთავარ-გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს კრების მიმდინარე სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

§ 15. სესიის გათავების შემდეგ საერთო კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციებს და ოქმებს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და გადასცემს სისრულეში მოსაყვანად საზოგადოების მთავარ-გამგეობას.

§ 16. საერთო კრების მეცადინეობის საგანია:

ა) განხილვა და დამტკიცება წლიური ანგარიშისა;

ბ) განხილვა მთავარ-გამგეობის მოსაზრების, წანადადების და მოხსენებისა;

გ) განხილვა და დამტკიცება შემდეგის წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვისა;

დ) მთავარ-გამგეობის და საზოგადოების საპატიო წევრთა არჩევა;

ე) შედგენა და დამტკიცება საზოგადოების საქმეთა სხვა და სხვა ნაწილის წარმოების წესრიგისა;

ვ) არჩევა სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის და გამგეობის მოქმედების შესამოწმებლად;

აგრეთვე დანიშვნა კომისიებისა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, განცალკევებულ საკითხთათვის, რაიც საზოგადოების საქმეებს შეეხება.

ზ) განხილვა წინადადებისა საზოგადოების წესდების შეცვლისა და შევსებისათვის, და

ᲗᲘ) საზოგადოთ, განხილვა და გადაწყვეტა საზოგადოების წევრთა წინადადებისა ღონისძიებისათვის, რომელსაც შეუძლიან ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მიზანს მიაღწიოს.

შენიშვნა: ყოველივე წინადადება საზოგადოების რწმუნებულთა უნდა შეტანილ იქმნას მთავარ-გამგეობაში საზოგადო კრებამდე ხუთის კვირით ადრე მაინც.

§ 17. რწმუნებულთა საერთო კრებაზე საქმე სწყდება დამსწრე რწმუნებულთა ხმათა მარტივის უმეტესობით; საზოგადოების წესდების შეცვლისა და შევსებისათვის კი საჭიროა საერთო კრებაზე დამსწრე რწმუნებულების ხმათა ორ მესამედზედ არა ნაკლები. ამგვარად შეცვლილი წესდება შემოღებულის წესით უნდა წარედგინოს საზოგადოების მთავარ-გამგეობის თავმჯდომარის მიერ მთავრობას ჩასანუსხავად. ხმის ჩამოტარება მოხდება დახურულის თუ ცხადის კენჭის ყრით, როგორც კრება ისურვებს; მაგრამ დახურული კენჭის ყრა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია კერძო მუხლებში.

§ 18. საერთო კრება ითვლება შედგენილად,

თუ მას დაესწრო რწმუნებულთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ $^1/_3$-დისა.

შენიშვნა: თუ პირველად დანიშნული რწმუნებულთა კრება არ შესდგა ამ რაოდენობის დაუსწრებლობის გამო, ინიშნება მეორედ. ეს კრება შედგენილად ჩაითვლება დამსწრე რწმუნებულთა რაოდენობის მიხედვით.

VI

საზოგადოების მთავარ-გამგეობა.

§ 19. საზოგადოების საქმეთა მართვისა და აღმასრულებელის მოქმედებისათვის საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება ირჩევს მთავარ-გამგეობის შვიდს წევრს. მთავარ-გამგეობა იმყოფება ტფილისში.

§ 20. მთავარ-გამგეობის გადაცვლილის ან რამე მიზეზით ვადამდე გასულის წევრების ადგილის დასაჭერად საზოგადო კრება ირჩევს სამს კანდიდატს.

შენიშვნა: გამგეობის წევრთა, აგრეთვე კანდიდატთა რიცხვი შეიძლება საერთო კრებამ გაადიდოს, თუ საჭირო შეიქმნება.

§ 21. საზოგადოების მთავარ-გამგეობის წევრნი და მათ კანდიდატები ირჩევა სამის წლის ვადით დახურულის კენჭის ყრით.

§ 22. გამგეობა ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს, რომელიც სწევს თავმჯდომარის მაგიერობას მის ავადმყოფობის ან სხვაგან ყოფნის დროს, მდივანს და ხაზინადარს.

§ 23. გამგეობის მოქმედების საგანია:

ა) წარმოება საზოგადოების წევრთა სიისა;

ბ) შესრულება საზოგადო კრების ყოველი კანონიერის დადგენილებისა;

გ) დანიშვნა საზოგადოების საქმეთა და დაწესებულებათა გამგეების და სხვა პასუხის-მგებელ თანამდებობის პირთა;

დ) წარმოება შემოსავალ-გასავლის დავთრებისა და საზოგადოების თანხის ანგარიშისა;

ე) ზრუნვა საზოგადოების ღონისძიებათა გაძლიერებისათვის.

ვ) მოწვევა თავმჯდომარის საშუალებით საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრებისა, ისე რომ კრების დღე ერთის თვის წინად ეცნობოს საზოგადოების განყოფილებებს;

ზ) წარდგენა რწმუნებულთა საერთო კრებისთვის მოსაზრებისა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებაა საჭირო, რომ საზოგადოებამ მიზანს მიაღწიოს და მის მოქმედება უფრო განვითარდეს;

ც) საზოგადოთ გაძღოლა საზოგადოების ყოველგვარის საქმეებისა.

§ 24. მთავარი გამგეობა ყოველწლივ წარუდგენს

საერთო კრებას დაწვრილებით ანგარიშს საზოგადოების მოქმედებისას და ვითარებისას.

§ 25. მთავარ-გამგეობის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, თუ დაესწრო წევრთა ნახევარზე მეტი რიცხვი. თუ თავმჯდომარე და მისი ამხანაგი სხდომას არ დაესწრო, მათ მოადგილეობს ერთი წევრთაგანი დანარჩენ დამსწრეთა მიერ არჩეული. მთავარ-გამგეობის სხდომა მოხდება თავმჯდომარის მოწვევით თვეში ერთხელ მაინც. განსაკუთრებულს შემთხვევაში სხდომაზე შესაძლოა მოწვეულ იქმნენ სათათბიროთ როგორც საზოგადოების წევრნი, ისე არა წევრნი. გამგეობაში საქმე გადაწყდება ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები შუა გაიყო, საკითხს სწყვეტს თავმჯდომარის ხმა.

§ 26. მთავარ-გამგეობის თავმჯდომარე:

ა) თვალყურს ადევნებს ამ წესდების ნამდვილად ასრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს თათბირს სხდომის დროს.

გ) საზოგადოების საქმეთა შესახებ აქვს მიწერ-მოწერა სათანადო უწყებებსა, დაწესებულებებსა ⁄ პირებთან, როგორც საზოგადოების ისე თავის სახელით.

VII

საზოგადოების განყოფილებანი.

§ 27. საზოგადოების განყოფილებას შეადგენს განსაზღვრულს რაიონში მცხოვრებ წევრთა ჯგუფი, არა ნაკლებ ორმოცდაათის წევრისა.

შენიშვნა: რაიონები განისაზღვრება ადგილობრივის პირობების მიხედვით მთავარ-გამგეობის მიერ.

§ 28. განყოფილების საქმეებს განაგებს განყოფილების წევრთა საზოგადო კრება და კრებისაგან არჩეული გამგეობა ხუთის წევრისაგან, რომელთაც ჰყავთ საზოგადო კრებისაგანვე არჩეული ორი კანდიდატი.

შენიშვნა: განყოფილების წევრთა საზოგადო კრებას უფლება აქვს გაადიდოს გამგეობის წევრთა რიცხვი 5 დან 7-დე, ხოლო მათ კანდიდატთა 3-დან 5-დე, თუ ამას საჭიროდ დაინახავს.

§ 29. საზოგადოების განყოფილებანი მოქმედებენ განსაზღვრული რაიონების ფარგლებში და ახორციელებენ საზოგადოების მიერ დასახულს მიზნებს მთლად ან ნაწილობრივ ადგილობრივი ძალების და საშუალების მიხედვით. ამ წესდების გარდა ხელმძღვანელობენ მთავარ-გამგეობის განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს რწმუნებულთა საერთო კრება.

VIII

საზოგადოების განყოფილების წევრთა კრება.

§ 30. საზოგადოების განყოფილების წევრთა კრების კითხულია: ა) არჩევა საზოგადოების წევრე-

ბისა, ბ) არჩევა განყოფილების გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა ბ) არჩევა რწმუნებულთა საზოგადოების საერთო კრებისათვის, დ) განხილვა და დამტკიცება გამგეობის მოქმედების და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა, ვ) განხილვა და გადაწყვეტა ყოველისავე საკითხისა განყოფილების მოქმედების შესახებ, ზ) არჩევა სარევიზიო კომისიისა გამგეობის მოქმედების შესამოწმებლად, ᲗᲘ) წარდგენა მთავარ-გამგეობაში მოხსენებისა საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

შენიშვნა: განყოფილების წევრთა კრება ითვლება შედგენილად, თუ მას დაესწრო წევრთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ $^1/_4$ -სა ან 50 წევრი. თუ პირველად დანიშნული წევრთა კრება არ შესდგა ამ რაოდენობის დაუსწრებლობის გამო, ინიშნება მეორე. ეს კრება ჩაითვლება შედგენილად დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ.

IX

განყოფილების გამგეობა.

§ 31. გამგეობა თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს.

§ 32. გამგეობის სხდომა ჩაითვლება შემდგარათ, თუ დაესწრო სამი წევრი.

§ 33 როდესაც გამგეობის წევრი ავად ან სხვაგან არის, მის სანაცვლოდ სამუშაოდ მოწვეულ იქნება კანდიდატი.

§ 34. თავმჯდომარის ავადმყოფობის ან სხვაგან ყოფნის დროს მის მაგიერობას სწევს მდივანი, ვიდრე გამგეობა ამ თანამდებობას დააკისრებდეს რომელსამე სხვა წევრს.

§ 35. გამგეობის მოვალეობაა: ა) აწარმოვოს განყოფილებაში ჩაწერილ საზოგადოების წევრთა სია, ბ) აგროვოს მათში საწევრო ფული, გ) აწარმოვოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში და უგზავნოს მთავარ-გამგეობას წმინდა შემოსავლის 10%, დ) მოიწვიოს განყოფილების წევრთა წლიური და საგანგებო კრება მის წლიურის მოქმედების ანგარიშის, შემოსავალ-გასავლის, სავარაუდო აღრიცხვის და მოქმედების განძრახვის მოხსენების განსახილველად, რწმუნებულების და საზოგადოების წევრთა ასარჩევად და საზოგადოთ იმისთანა კითხვების გადასაწყვეტად, რომელნიც გამგეობის უფლებას აღემატება და ბოლოს იზრუნოს განყოფილების ღონისძიებათა გაძლიერებისათვის.

§ 36. განყოფილებას შეუძლიან მიიღოს ყოველნაირი შემოწირულება უძრავი და მოძრავი, იყიდოს და გაყიდოს უძრავი ქონება, ისარგებლოს იურიდიულის პირის უფლებით და იქონიოს საკუთარი ბეჭედი.

§ 37. განყოფილება იხურება: 1) საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრების დადგენილებით, როდესაც განყოფილება თავის მოქმედებით თუ უმოქმედობით დაარღვევს ამ წესდებას ან რწმუნებულთა საერთო კრების მიერ დამტკიცებულს ინსტრუქციას განყოფილებათათვის და 2) განყოფილების წევრთა საერთო კრების დადგენილებით, რომელიც მოხდება კრებაზე დამსწრე წევრთა ორის მესამედის უმეტესობით.

დახურულის განყოფილების საქმეთა ლიკვიდაციის დროს განყოფილების ქონების წმინდა ნაშთი რჩება საზოგადოების საკუთრებად.

X

სარევიზიო კომისია.

§ 38. საზოგადოების კასის საბუთების, შემოსავალ-გასავლის, ინვენტარის, სავარაუდო ხარჯთაღრიცხის და ყოველგვარი ქონების და მოქმედების შესამოწმებლად და განსახილველად კრება ირჩევს, თანახმად მე 16 §-სა (ლიტერი „ვ“), სარევიზიო კომისიას შემდგარს სამიდან ხუთ კაცამდის და სამს კადიდანტს, რომელთაც არ უკავიათ არც საზოგადოებაში და არც მის განყოფილებაში სხვა რაიმე თანამდებობა.

შენიშვნა: ეს დებულება აგრეთვე სავალდებულოა საზოგადოების განყოფილებათა სარევიზიო კომისიებისათვის.

§ 39. სარევიზიო კომისიის საქმეებს ხემძღვანელობს კომისიის წევრთაგან არჩეული თავმჯდომარე.

§ 40. წესდების მე-38 §-ის თანახმად სავალდებულო ფაქტიურ რევიზიას სარევიზიო კომისია ახდენს ყოველწლივ რწმუნებულთა საერთო კრებამდე. მაგრამ გარდა ამისა ამავე კომისიას აქვს უფლება მოულოდნელი რევიზიაც მოახდინოს ყოველ დროს.

XI

საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაცია.

§ 41. თუ საზოგადოება დაიხურა, რაიც მოხდება მხოლოდ რწმუნებულთა საზოგადო კრების ხმათა სამის მეოთხედის დადგენილებით, სწარმოებს საზოგადოების საქმეთა ლიკვიდაცია იმ წესით, რომელიც უნდა ცხად ჰყოს იმავე დადგენილებამ.

საზოგადოების მთავარ-გამგეობის
თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი.

წევრნი { შ. დედაბრიშვილი.
თ. კიკვაძე.

წევრი მდივანი ვ. ბურჯანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა
სახელ. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г. ССР

N 7.
37
Ф 422

37
B 422